ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47.47220252**
თარიღი:**25/01/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი 1

დ. ჩოხატაური

17 იანვარი, 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი კუჭავა

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: ზაალ მამალაძე, დავით გუდავაძე, ჯუმბერი ბერძენიშვილი, მარინე ბერაძე, აკაკი ყაჭეიშვილი, ზვიადი მამალაძე, ბიძინა ცინცაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, გიორგი მათითაშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიად წეროძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, მანანა მინდაძე, დავით ტყეშელიაძე, გოჩა ჯიქია, ლაშა ირემაძე, მიხეილ თავართქილაძე, კახაბერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, ნოდარი ცხომელიძე, ზაურ ზარბაზოია, ბაჩო ახალაძე, მარინე თავაძე, ნინო რამიშვილი.

არ ესწრებოდა: ლაშა თოლორდავა, დიმიტრი კორიფაძე, გოგი ბოლქვაძე, გივი ჩხიკვაძე, მაია გიორგაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, ბაია ძნელაძე, მამია ბარამიძე, ხათუნა ბერიშვილი, არჩილ სიხარულიძე,

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

თეა უჯმაჯურიძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

მერაბ ბერძენიშვილი- ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში.

ზაზა ცინცაძე- საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილების უფროსი;

სხდომის თავმჯდომარემ ბარბარობის დღესასწაული მიულოცა საკრებულოს წევრებს, შემდეგ კი გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N 5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020- 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზაალ მამალაძემ, მარინე ბერაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N 5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020- 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ცინცაძე

I საკითხი:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N 5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N 5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N 5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

II საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: დავით ტყეშელიაძემ, ქეთევან სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

III საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

აზრი გამოთქვა: თემურ ხუხუნაიშვილმა, მარინე ბერაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

IV საკითხი:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი კუჭავამ, რომელმაც განმარტება გააკეთა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზოგიერთმა დეპუტატმა შეიძლება წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანდართულ ცხრილში ვერ ნახოს მის ადმინისტრაციულ ერთეულში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ, მაგრამ, შეგახსენებთ, რომ ეს სამუშაო პროცესის დასაწყისია და ამით არ მთავრდება დასამატებელი პროექტების განხილვა. ამიტომ, გთავაზობთ, რომ მუნიციპალიტეტის მერთან, მერიის სამსახურებთან და თქვენთან ერთად, შევიკრიბოთ, ვისაუბროთ სამუშაო ფორმატში და ვიმსჯელოთ ამ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, სურვილები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე შესაძლებლობა, მაგრამ 2 700, 0 ათასი ლარი, რომლითაც დავიწყეთ, ეს არ არის რა თქმა უნდა საბოლოო შედეგი, თუმცა ყოველთვის იწყება ასე და გრძელდება თანდათან. მთავარია, დროულად გამოცხადდეს ტენდერები საპროექტო სამუშაოების შესრულებაზე. სამუშაო შეხვედრაზე კი გადავწყვიტოთ რა მოვიწონოთ დამატებით და რა არა.

ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთი პროექტი უკვე მზად არის, გავლილი აქვს მოწონებებიც წინა სხდომებზე, მაგრამ უნდა ვიცოდეთ იმის შესახებ, თუ რა რიგითობით დაიდება ისინი ტენდერზე და როცა ფინანსური უზრუნველყოფა გადაწყდება, უნდა ვიცოდეთ პროექტის განხორციელების რიგითობა, რადგანაც ვიწონებთ გაცილებით მეტ პროექტს, ვიდრე ვფინანსდებით. მესამე სართულზე ოთახების არასაკმარისი რაოდენობის გამო აუცილებელია მეორე სართულისა და სხდომათა დარბაზის შიდა არსებული სივრცის იმგვარად გადაკეთება, რომ აღნიშნულის ხარჯზე შესაძლებელი გახდეს მესამე სართულზე სამუშაო ოთახების დამატება, პრობლემა წინა წლებიდან მომდინარეობს და დღემდე მოუგვარებელია. იქნებ, მერიასთან ერთობლივი თანამშრომლობით მოვიძიოთ თანხები აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად.

ეს საკითხი მინდა რომ დამატებული იქნას წარმოსადგენ პროექტების ნუსხას და იყოს საკრებულოს მიერ მოწონებული, რომ როგორც კი გამოჩნდება თანხა, მოგვარებული იქნას ეს პრობლემაც.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

V საკითხი:

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020- 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020- 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ცინცაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი კუჭავამ, რომელმაც განმარტა, რომ ჩოხატაურში, ამ პროექტის განხორციელება დაიწყო შარშან. მაგალითად, უდაბნოს მამათა მონასტერთან მიმავალი გზა ამ პროექტით იქნა გაკეთებული. ასევე, მოწესრიგდება სივრცე და მამათა მონასტრისკენ მიმავალი გზა ბოლომდე იქნება გაკეთებული.

აქვე განვმარტავ, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით დამტკიცებული ,,2020- 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გათვალისწინებულია შემდეგი საპროექტო წინადადებების განხილვა. კერძოდ:

1. სოფელ ამაღლებაში ტაძართან და გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისთვის;

2. ნოდარ დუმბაძის სახლ- მუზეუმის რეაბილიოტაცია და ეთნოგრაფიული სივრცეების მოწყობა ჩოხატაურის მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალის შექმნის მიზნით.

3. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის შესაბამისად, ჩვენს მუნიციპალიტეტში საპროექტო იდეები ამ სამი მიმართულებით იქნა განსაზღვრული. პროექტის განხორციელების აუცილებლობას ვფიქრობ, დავასაბუთებთ, კონკურსში გავიმარჯვებთ, რაც ჩოხატაურისათვის დიდი შენაძენი იქნება.

,,რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ საფუძველზე წელს განხორციელდება გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაცია, სადაც ბანკი ,,ქართუმ“ მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა და სხვა ელფერი შესძინა ერისთავების სასახლეს.

კობა კალანდაძემ სხდომის თავმჯდომარეს მიმართა კითხვით, ხომ არ იგეგმება რაიმე ახალი ანა კალანდაძის სახლ- მუზეუმის მშენებლობასთან დაკავშირებით.

- აღნიშნულის მშენებლობა ამ პროექტით ვერ განხორციელდება, ამ საკითხის გადასაწყვეტად მუშაობა თავიდან უნდა დავიწყოთ.

ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ რადგანაც თანხები არის შეზღუდული, მინდა შევთანხმდეთ რომ მეტად პრიორიტეტული გახდეს გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის კეთილმოწყობა იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი უნიკალურია და შეიძლება ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება არა მარტო ჩოხატაურელთათვის, არამედ გახდება მიზიდულობის ცენტრი ყველა ტურისტისათვის და იგი შეიძლება სამომავლოდ იქნეს საინფორმაციო წყაროდ ტურისტული კუთხით. აქვე მოქმედი პროფესიული სასწავლებლი, რაღაც ფორმით შესაძლებელია ჩართული იქნას აღნიშნულ პროექტში.

მანანა მინდაძემ აღნიშნა, რომ პროექტის განხილვისას კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ და ღია სივრცეების პარალელურად თუ ვიფიქრებთ დახურული სივრცეების მოწყობაზე, მით უფრო როცა ტერიტორიაზე არსებული შენობა- ნაგებობები რეაბილიტაციის შემთხვევაში ამის შესაძლებლობას იძლევა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020- 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი